საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 5686/1
12/08/2016

5686-1-2-201608121010

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს

ბატონ დიმიტრი ავალიანს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" განიხილა თქვენი 2016 წლის 01 აგვისტოს N197 წერილი, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2012 წლის 12 მაისს შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" გააფორმა ხელშეკრულება შ.პ.ს. „დელტა სისტემსთან". გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სტრუქტურისა და ბიზნეს პროცესების განსაზღვრა და სისტემის მიმართ ფუნქციონალური მოთხოვნების დოკუმენტისა და გადაწყვეტილების აღწერის დოკუმენტის შექმნა, კომპანიის მიერ განსაზღვრულ სხვადასხვა მოდულში. ზემოაღნიშნული მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 85 668 (ოთხმოცდახუთი ათას ექვსას სამოცდარვა) ლარით. აქვე გაცნობებთ, რომ გაფორმებული ხელშეკრულების საგანს არ წარმოადგენდა პროგრამული უზრუნველყოფა და ელექტრონული სისტემის დანერგვა.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ შ.პ.ს. „დელტა სისტემმა" განახორციელა შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სტრუქტურისა და ბიზნეს პროცესების ანალიზი, შეიქმნა ფუნქციონალური მოთხოვნების და გადაწყვეტილების აღწერის დოკუმენტები შესაბამისი მოდულებისთვის. შექმნილი დოკუმენტების გაანალიზების შედეგად კომპანიის მენეჯმენტმა დაინახა სტრუქტურისა და ბიზნეს პროცესების ცვლილების აუცილებლობის საჭიროება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიაში განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც ობიექტურად პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის დაწყების დროებით გადადება გამოიწვია. გარდა ამისა, ბიზნეს პროცესის ანალიზის შედეგად გამოვლინდა საკადრო საკითხების კუთხით თანამშრომელთა გადამზადების აუცილებლობა, რათა მათ ჰქონოდათ ელექტრონულ სისტემებში მუშაობის გარკვეული გამოცდილება და მომზადებულები შეხვედროდნენ რესურსების მართვის

შ.პ.ს L.L.C.

საქართველო, თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097

e-mail: info@water.gov.ge
www.water.gov.ge

76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

ახალ სისტემას. რესურსების მართვის პროგრამა გულისხმობს კომპანიაში არსებული ფინანსური და არა მარტო ფინანსური ბიზნეს პროცესების ერთ სისტემაში მოქცევას, რაც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს და საბოლოო ჯამში მმართველობის ეფექტურობას შეუწყოს ხელი. შ.პ.ს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ" გაანალიზა რა მართვის ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობა და ბიზნეს პროცესის ელექტრონულ პროგრამებში ინტეგრაციის ეტაპობრივი გადასვლის აუცილებლობა, დაიწყო სხვადასხვა მოდულის დანერგვა, როგორც საკადრო, ისე სატრანსპორტო და ფინანსურ ნაწილში. დღეის მდგომარეობით, კომპანიაში მოქმედებს მომხმარებელთან ურთიერთობის ელექტრონული პროგრამა, სადაც ხორციელდება როგორც სატელეფონო შეტყობინებების საფუძველზე არსებული საჩივრების და ინციდენტების აღრიცხვა, აგრეთვე, შიდა რესურსებით მოპოვებული პრობლემების ფიქსაცია, გარდა ამისა, გაგვაჩნია ახალი მიერთების პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს ელექტრონულად გააკეთოს განაცხადი ამონენტად რეგისტრაციის თაობაზე, კომპანიში მოქმედებს ბილინგის ელექტრონული პროგრამა, რომელიც კომერციული საქმიანობის აღრიცხვასთან არის დაკავშირებული, KPI ელექტრონული სისტემა, ელექტრონულ პროგრამებში აღირიცხება საკადრო, სატრანსპორტო, შესყიდვების, ბიუჯეტირებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხები.

ამასათან, გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის აღრიცხვა მხოლოდ ამ მოდულებით არ შემოიფარგლება და მომავალშიც იგეგმება აღნიშნული სისტემის კიდევ უფრო დახვეწა და სრულყოფა, რაც, რა თქმა უნდა, შესაბამის დროს და პრაქტიკული ასპექტების გაანალიზებას მოითხოვს.

პატივისცემით,

გიორგი კობერიძე

დირექტორი

ხელმძღვანელობა